# ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებების ძალაში შესვლის თარიღი

# ფასს 10-ის - *„კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“* - შესწორებები

„გ“ დანართში შეიცვალა გ1გ პუნქტი. გაუქმებული ტექსტი გადახაზულია, ხოლო ახალი ტექსტი ხაზგასმულია ქვემოდან.

## ძალაში შესვლის თარიღი

...

გ1გ 2014 წლის სექტემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - *„აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში“* (ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები) - გამოიწვია 25-26-ე პუნქტების შეცვლა და ბ99ა პუნქტის დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს პერსპექტიულად ~~იმ ოპერაციებთან მიმართებით, რომლებიც განხორციელდა 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ~~ იმ წლიურ პერიოდებში განხორციელებულ ოპერაციებთან მიმართებით, რომლებიც იწყება ბასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ამ ცვლილებებს, მან ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი.



© IFRS Foundation

# ბასს 28-ის - *„ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“* - შესწორებები

| |
|---|
| შეიცვალა 45გ პუნქტი. გაუქმებული ტექსტი გადახაზულია, ხოლო ახალი ტესტი ხაზგასმულია ქვემოდან. |

## ძალაში შესვლის თარიღი

...

45გ. 2014 წლის სექტემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - *„აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში“* (ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები) - გამოიწვია 28-ე და 30-ე პუნქტების შეცვლა და 31ა–31ბ პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს პერსპექტიულად ~~აქტივების გაყიდვის ან საკუთარ კაპიტალში შეტანის ისეთ ოპერაციებთან მიმართებით, რომლებიც განხორციელდა 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ~~ <u>იმ</u> წლიურ პერიოდებში <u>განხორციელებულ აქტივების გაყიდვის ან საკუთარ კაპიტალში შეტანის ოპერაციებთან მიმართებით, რომლებიც იწყება ბასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით.</u> ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ამ ცვლილებებს, მან ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი.

© IFRS Foundation